

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო**

ქ. ბათუმი

30 ივლისი, 2025 წელი

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/92

**სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევის
შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 დეკემბრის №3/319 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-9 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე და 24-ე მუხლების, ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 28 ივლისის №05-01/01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულების“, „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ“ ბხსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 16 ივნისის №04-01/85 დადგენილებისა და ბხსუ-ს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის (№1, 30.07.2025) საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად 2025 წლის 31 ივლისიდან 4 წლის ვადით არჩეულ იქნეს ასოცირებული პროფესორი მამუკა ალაფიშვილი.

2. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ.ბათუმი, ს.ზუბალაშვილის ქ. №30).

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე

მ. ალაფიშვილი